ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის
,,ქართული პოლიტიკა,,
სპეციალური გამოცემა

ლაშა თორდია

2015 #3

საბიუჯეტო სახსრების და სახელმწიფო ქონების ეფექტიანი მართვა

სერია: ეკონომიკური პოლიტიკა

ძვირფასო მეგობრებო,

კარგი მმართველობა - ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში, სახელმწიფო, რეგიონულ, უწყებრივ, თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია, დადგენილი წესით, გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს: პარლამენტის სხდომებზე; სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე; სამეცნიერო კონფერენციებზე; სემინარებზე და, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

მთავარი ამოცანაა: ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან, ამან, შეიძლება სერიოზულად დააზრალოს, როგორც სახელმწიფო, ისე, საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა სათანამშრომლოდ და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია, საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით, უსასყიდლოდ, პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. ის, აგრეთვე, განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: www.politlibrary.ge.

ამჯერად, რედაქცია, ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას ნაშრომს „საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების ეფექტიანი მართვა".

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

ლაშა თორდია

საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების ეფექტიანი მართვა

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირება და მართვა სახელმწიფო ფინანსებისა და ქონების გარეშე შეუძ-ლებელია. რაც უფრო განვითარებულია ეკონომიკა და ლიბერალიზებულია ბიზნეს გარემო, განსაკუთრებით საგადასახადო სისტემა, მით ძლიერია სახელმწიფო ბიუჯეტი. სამწუხაროდ საქართველო ცნობილი გარემოებების გამო საბაზრო ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან გვიან ჩაერთო, რის გამოც ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში დიდი პრობლემები დაგროვდა. სულ ოციოდე წლის უკან საქართველოს დამოუკიდებელი და სრულყოფილი ბიუჯეტიც არ გააჩნდა, თუმცა დღეს ამ მხრივ შედარებით წარმატებული მდგომარეობა გვაქვს.

საჯარო ფინანსების ხარჯვას და სახელმწიფო ქონების გამოყენებას სათანადო დაცვა და მონიტორინგი სჭირდება, რადგან მათი ზედამხედველობის გარეშე დატოვება ნებისმიერ ქვეყანაში კორუფციის და უყაირათობის საფუძ-ველი ხდება. ამიტომაც ჯერ კიდევ რომის იმპერიიდან მოყოლებული სახელმწიფოები სხვადასხვა მეთოდებით და მონიტორინგული სამსახურების მეშვეობით მათზე მუდმივ

მეთვალყურეობას ახდენენ. საქართველოში ამ ფუნქციის შესრულებაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ყოფილი კონტროლის პალატის მემკვიდრეს.

მკითხველის წინაშეა დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის (გენერალური აუდიტორის) მცირე მოცულობის, მაგრამ შინაარსობრივად საკმაოდ დატვირთული და ლოგიკურად გამართული ნაშრომი, რომლის მიზანია მკითხველს გააცნოს ის რეფორმისტული სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობს ამ უწყებაში, ასევე ობიექტურად და უკომპრომისოდ შეაფასოს ის სუსტი მხარეები, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ ეტაპზე საჯარო ფინანსების ხარჯვასა და სახელმწიფო აქტივების გამოყენებაში.

ნაშრომში ავტორის ყურადღება სამართლიანადაა ორიენტირებული ისეთ მწვავე და პრობლემურ სფეროებზე როგორებიცაა პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმა, საბიუჯეტო პროცესის მართვასთან დაკავშირებული სუსტი მხარეები, სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების მართავაში არსებული ხარვეზები და სხვა გამოწვევები.

უნდა დავეთანხმოთ ნაშრომის ავტორს იმაში, რომ საბიჯეტო პროცესის ერთ-ერთი სუსტი რგოლია ბიუჯეტის დაგეგმვაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები, რომელიც მკაფიოდ ვლინდება, როგორც მაკრო ისე მიკროდონეზე. ამის კუთხით საყურადღებოა მთელ რიგ საბიუჯეტო ორგანიზაციებში საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამის შეუმუშავებლობა, აგრეთვე ხარჯვის გამჭვირვალობის შესაფასებლად შესა-ბამისი ინდიკატორების სისტემის უქონლობა, რაც ხელს უშლის სრულფასოვანი სახელმწიფო და შიდა აუდიტის ჩატარებას. საბიუჯეტო დაგეგმვის ხარვეზად მიჩნეულია აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა ფისკალური წლის დასასრულს, რასაც თან ახლავს არაეკო-ნომიურობა ხარჯვაში და ქვეყნის მაკროეკონომიკურ

წონასწორობაზე ნეგატიური გავლენა. ნაშრომის ავტორი სამართლიანად მიუთითებს აგრეთვე წლის დასასრულს სახელმწიფო შესყიდვების გეგმების ხშირ და დაუსაბუთებელ ცვლილებებზე რაც საბოლოო ჯამში იწვევს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან, არამიზნობრივ და არაეკონომიურ ხარჯვას.

ბიუჯეტის დაგეგმვის ხარვეზად ავტორი მიიჩნევს მხარჯავი უწყებების პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის ასიგნებების მასშტაბური და ხშირი გადანაწილების პრაქტიკას, აგრეთვე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ბუნდოვანი დანიშნულებით საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას. ჩემი აზრით, ამას უნდა დაემატოს სახელფასო ფონდის დაგეგმვაში დამკვიდრებული ხელგაშლილობა, რამაც განაპირობა სამინისტროებსა და უწყებებში პრემიებისა და დანამატების უკონტროლოდ გაცემა, რაც გახდა ხელისუფლების მიმართ დიდი საზოგადოებრივი პროტესტის მიზეზი.

ნაშრომში სიღრმისეულადა გაანალიზებული დღევანდელ ეტაპზე სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არსებული ნეგატიური მხარეები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი: დაუგეგმავი შესყიდვების გახშირება, შესყიდვების გეგმებში ხშირი და მასშტაბური ცვლილებების შეტანა, მარაგების გაუთვალისწინებლობა დაგეგმვის პროცესში, ბაზრის და ფასების გამოკვლევის იგნორირება, ელექტრონული შესყიდვებისას ტექნიკური დოკუმენტაციის საეჭვოდ მორგება ერთ კონკრეტულ მიმწოდებელზე და სხვა. ყურადღებას იმახურებს ის გარემოება, რომ ნაშრომის ავტორი იძლევა აღნიშნული ხარვეზების დაძლევის კონკრეტულ წინადადებებს და რეკომენდაციებს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე სახელმწიფო ქონების მართვაში არსებულ ხარვეზებზე: უწესრიგობა ქონების აღრიცხვისა და შეფასების სისტემაში, სახელმწიფო ქონების ბალანსგარეშე არსებობა და ბუღალტრული გაუტარებლობა, საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობა, ნარჩენი ღირებულების არასწორად

გაანგარიშება, აქტივების ინვენტარიზაციის ფორმალურობა ან საერთოდ ჩაუტარებლობა და ა. შ. ქვეყნის გენერალური აუდიტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ დღემდე არაა შემუშავებული სახელმწიფო საწარმოთა მართვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა და სტრატეგია, რითაც შესაძლებელი გახდება აღნიშნულ სფეროში სახელმწიფო წესრიგის დამყარება.

და ბოლოს, ნაშრომში ავტორი მკაფიოდ ავლენს საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო ქონების მართვის შიდა აუდიტის ინსტიტუციის სუსტ მხარეებს: დაბალი პროფესიონალიზმი, მათი საქმიანობის ევროკომისის მოდელთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა, აუდიტორთა დამოუკიდებლობის მექანიზმის არარსებობა და სხვა.

მთლიანობაში ქვეყნის გენერალური აუდიტორის მიერ შემოთავაზებული ანალიტიკურ-კვლევითი ნაშრომი გამოყენებით-პრევენციული ხასიათისაა, მასში სწორად და ობიექტურადაა აქცენტები გაკეთებული ქვეყანაში ფინანსური წესრიგის განმტკიცების კუთხით არსებულ პრიორიტეტულ საკითხებზე და მოცემულია ამ მიმართულებით გასატარებელი რეკომენდაციები და წინადადებები, რაც ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას მნიშვნელოვნად ზრდის. აუდიტის სახელმწიფო სამსახურის საქმიანობაში იკვეთება ეფექტიანობის აუდიტის პრიორიტეტულობა, რაც ამ სფეროში წარმატებული რეფორმების გარანტიას იძლევა. ვფიქრობთ, რომ წინამდებარე ნაშრომი დახმარებას გაუწევს საჯარო მოხელეებს, რომლებსაც შეხება აქვთ საბიუჯეტო პროცესთან და სახელმწიფო ქონების მართვასთან, აგრეთვე ეკონომიკური და იურიდიული პროფილის სტუდენტებს.

იაშა მესხია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

State

უკანასკნელ წლებში საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში მიმდინარე რეფორმა ემსახურება საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. აღნიშნული რეფორმის პროცესში გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის ძირითად პრინციპებს. ისინი უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, აწვდიან რა მათ ინფორმაციას თუ სად, როგორ ან რა მოცულობით გამოიყენება სახელმწიფოს ხელთ არსებული საბიუჯეტო სახსრები და რამდენად შეესაბამება აღნიშნული ხარჯვა სახელმწიფოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა დაპრიორიტეტებს. შესაბამისად, გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესი და ანგარიშებისგამართული სისტემა საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო ქონების ეფექტიანი მართვის მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. მიმდინარე რეფორმის პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს ძირითადი ფუნქციაა, ხელი შეუწყოს საქართველოს პარლამენტს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებასა და საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცებაში.

წინამდებარე სტატიაშიგანხილულია ის აქტუალური თემები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ გამოავლინა. აღნიშნული თემები განსაკუთრებით საყურადღებოა მიმდინარე რეფორმის პროცესის გათვალისწინებით და მათი დახვეწა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საჯარო ფინანსების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნული საკითხებია: **პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმა; საბიუჯეტო პროცესის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები; სახელმწიფო შესყიდვების მართვა; სახელმწიფო ქონების მართვა და შიდა ფინანსური კონტროლი.**

➢ პროგრამული ბიუჯეტირების რეფორმა

საჯარო ფინანსების მართვის **მიმდინარე** რეფორმა ორიენტირებულია ტრადიციული ბიუჯეტის ფორმატიდან პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლაზე. თუ ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე საბიუჯეტო პროცესში ჯერ ხდება ასიგნებების გამოყოფა მხარჯავი დაწესებულებებისათვის, ხოლო შემდგომში მათი გადანაწილება კატეგორიების მიხედვით (შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ), პროგრამული ბიუჯეტირების დროს აქცენტი იცვლება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვიდან ამ რესურსების გამოყენებით მიღწეული შედეგებისაკენ. შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირებისას, როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის ისე შესრულების ეტაპზე, საზოგადოება იღებს ინფორმაციას დაგეგმილი და მიღწეული შედეგების შესახებ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს საჯარო სექტორის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია აღნიშნული შედეგების გაზომვა და შედარება მათ გეგმიურ მაჩვენებლებთან. შესაბამისად, გამართული, ზუსტი, შედეგთან შესაბამისი/რელევანტური, იოლად აღსაქმელი და შესადარისი ინდიკატორთა სისტემა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული ხარჯვისა და გამჭვირვალე ანგარიშგების სისტემის შენარჩუნების მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს. პროგრამების ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ დეტალური და ინფორმაციულად დატვირთული ანგარიშგება უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ანგარიშვალდებულებას დაინტერესებული მხარეებისადმი,რაცსაზოგადოებას საშუალებას აძლევს მიიღოს ინფორმაცია მათ მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯვის მიმართულებებისა დამათი გამოყენებით მიღწეულირეალური შედეგების შესახებ, მეორე

მხრივ, კი იძლევა მომავალში რესურსების ოპტიმალური ალოკაციის შესახებ უკეთესი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატის დანერგვისა და მხარჯავი დაწესებულებების მიერ პროგრამების შედეგების შესახებ ანგარიშგების პროცესი ამჟამად საწყის ეტაპზეა. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სფეროშითავს იჩენს მნიშვნელოვანი ხასიათის ხარვეზებიდა პრობლემები, რაზეცყურადღება იქნა გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურისმოხსენებებში.

- უპირველეს ყოვლისა, შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების რეფორმის პროცესში, განსაკუთრებით საყურადღებოა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმებისა და მასზე დაყრდნობით წლიური სამოქმედო გეგმების ფორმირება, რაც თავის მხრივ, საშუალოვადიან პერიოდში რეალისტური სტრატეგიული მიზნების შემუშავებისა და მათი მიღწევის გზების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს იმ პრიორიტეტებს, სტრატეგიულ მიმართულებებსა დამიზნებს, რომლის მიღწევასაც ორგანიზაცია გეგმავს საშუალოვადიან პერიოდში (3-4 წელი). მიუხედავად აღნიშნული საკითხისმნიშვნელობისა, ამ მიმართულებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ 2013 წლის მონაცემებზე დაყრდნობით 24 მხარჯავი უწყებიდან 9(38%) მათგანს არ გააჩნია სტრატეგიული გეგმა[1], ხოლო დანარჩენი 15 მხარჯავი დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არაადეკვატურია და თავისი შინაარსით არ წარმოადგენს საშუალოვადიან სტრატეგიულ გეგმას;
- როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამათა/ქვეპროგრამათა

1. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა მხარჯავი დაწესებულებების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას

ფარგლებში გახარჯული საბიუჯეტო სახსრების ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს პროგრამათა შეფასების ინდიკატორთა სისტემა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა მხარჯავი უწყებების მიერ ხშირ შემთხვევაში არ ხდება პროგრამების შედეგებისა და შეფასების ინდიკატორებისათვის მიზნობრივი მაჩვენებლების შემუშავება, რაც ანგარიშგების ეტაპზე ამცირებს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას პროგრამის წარმატება/წარუმატებლობის შესახებ. აღნიშნულიხარვეზები საჭიროებს რეგულირებას მოთოდოლოგიური კუთხით, როგორც მაკოორდინირებელი უწყების ისე მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან.

- საერთაშორისო გამოცდილებით ქვეყნების უმრავლესობა პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის საწყის ეტაპზე აწყდება მონაცემთა გამართული სისტემის ჩამოყალიბების პრობლემას. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში, პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ მოცემული ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია *მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის ჩამოყალიბებული სისტემის* არსებობა მხარჯავი უწყებების დონეზე;
- მხარჯავი უწყებებიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით გაირკვა, რომ საბიუჯეტო წლის განმავლობაში *პროგრამების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მექანიზმი* დანერგილია მხოლოდ რამოდენიმე მათგანში. აღნიშნული პრაქტიკის არარსებობა რისკის ქვეშ აყენებს პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული მიზნების მიღწევას, რამდენადაც მუდმივი მონიტორინგი ხელს უწყობს შესრულების პროცესში წარმოქმნილი ხელისშემშლელი

ფაქტორების დროულად იდენტიფიცირებასდა განმახორციელებელს აძლევს დროული და ადეკვატური ღონისძიებების გატარების საშუალებას.

➢ საბიუჯეტო პროცესის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზები

გასული წლების დინამიკის ანალიზზე დაყრდნობით, საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფისკალური წლის დასასრულს აუთვისებელი გადასახდელების მასშტაბური ხარჯვის ტენდენცია, რომელიცსაბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანი განკარგვის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.საბიუჯეტო წლის დასასრულს ასიგნებების ათვისებისმასშტაბური ზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ შემთხვევებში აღნიშნული ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ გარემოებებთან, მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ეტაპზე არსებულ სისტემური ხასიათის პრობლემებზე. აღნიშნულ ხარვეზებზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მხარჯავი ორგანიზაციები ამ დროს ორიენტირებულნი არიან ასიგნებების ათვისებაზე და არა შედეგის მიღწევაზე. აღნიშნული საკითხის პრობლემატურობა არაერთხელ იქნა ხაზგასმული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებსა და პუბლიკაციაში[2]. ფისკალური წლის ბოლოს აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა, მათ შორის წლის დასასრულს შესყიდვების გეგმების ცვლილება და მათ საფუძველზე დაჩქარებული ტემპით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება, ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაე-

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2012 და 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით; სახელმწიფოაუდიტის სამსახურის პუბლიკაცია „ასიგნებების გადატანის უფლებამოსილება შემდგომი ფისკალური წლისათვის (Carry-Over მექანიზმი)“

State Audit
სახელმწიფო აუ
State Audit
სახელმწიფო აუ
State Audit
სახელმწიფო აუ
State Audit
State Audit
Audit
Audit
Audit

Office of Georgia
State
Office of Georgia
State
Office of Georgia
State
Office of Georgia
State

ფექტიანად, არამიზნობრივად და არაეკონომიურად გახარჯვის რისკს. მაგალითისათვის, ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე შეგიძლიათ იხილოთ 2013 წლის დეკემბრის თვის გადასახდელების ჯამური მოცულობა, რომელიც დანარჩენი 11 თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებლის 209%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ყოველთვიური დინამიკა



საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ყურადღება გამახვილდეს, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ისე მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან. ამასთანავე, მიზანშეწონილია ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის დარეგულირებასა და მხარჯავი უწყებების მიერ ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვისათვის ქმედითი სტიმულების შექმნას.

გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების განკარგვასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხს მიეკუთვნება წლის განმავლობაში მხარჯავი უწყებების პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და აღნიშნული ცვლილებების სიხშირე,

რაც ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიანიშნებს. ამასთან, პრობლემები შეინიშნება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილსახსრებთან დაკავშირებით. კერძოდ, სარეზერვო ფონდიდან საბიუჯეტო რესურსების გამოყოფა ხდება ბუნდოვანი დანიშნულებითა და ზოგადი დასაბუთებით, რაც აღნიშნული სახსრების ეფექტიანად განკარგვისა და გამჭვირვალობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს.

➢ სახელმწიფო შესყიდვების მართვა

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვის უზრუნველსაყოფად, მხარჯავი უწყებები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ვალდებულნი არიან დაიცვან საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები და სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული შესყიდვების მართვის ეფექტიანობის აუდიტმა[3] გამოავლინახარვეზები, როგორც შესყიდვების შესახებ კანონმდებლობაში, ასევე შესყიდვების განხორციელების ყველა სტადიაზე, განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. შესყიდვების სფეროში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს:

- სახელმწიფო შესყიდვების დამტკიცებულ გეგმებში განხორციელებული ხშირი და მასშტაბური ცვლილებები; ასევე, დიდი ოდენობითდაუგეგმავი შესყიდვები, რაც ზრდის საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი და არაეკონომიური განკარგვის რისკს;

3 ,,შესყიდვების მართვის ეფექტიანობის'' აუდიტის ანგარიში

- ორგანიზაციებში არსებული მარაგების გაუთვალისწინებლობა შესყიდვების დაგეგმვის პროცესში, რაც შესყიდული საქონლის საჭიროებას ეჭვქვეშ აყენებს;
- მხარჯავი უწყებების მიერ სათანადოდ არ ხორციელდებოდა ბაზრის წინასწარი კვლევა, შესასყიდი ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა და მიმდინარე პერიოდში ობიექტის სავარაუდო საბაზრო ღირებულების განსაზღვრა, რის შედეგადაც, ზოგიერთ შემთხვევაში შესყიდვების პროცესი თავდაპირველ ფასთან შედარებით მნიშვნელოვანი ეკონომიების წარმოშობით სრულდება;
- ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი დოკუმენტაციის დაგვიანებით ან არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში არ ხდება პრეტენდენტთა დისკვალიფიკაცია;
- ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელებული შესყიდვების პროცესში მხარჯავი უწყებების მიერ შემუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციაზოგიერთ შემთხვევაშიარაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების მიზეზი ხდება, რაც მათი ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე მორგებაში გამოიხატება;
- ასევე, რიგ შემთხვევებში სრულყოფილად არაა დასაბუთებული გადაუდებელი აუცილებლობით და შესაბამისად, ტენდერის ჩატარების გარეშე განხორციელებული შესყიდვების საჭიროება.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გათვალისწინებით, შესყიდვის დაგეგმვისას შემსყიდველმა ორგანიზაციებმა აუცილებელია განახორციელონ ბაზრის წინასწარი შესწავლა, რის შედეგადაც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება დაეფუძნება ბაზრის შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემებსა და წარსულ გამოცდილებას; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა გასცეს მეთოდოლოგიური მითითებები შემსყიდველ ორგანიზაციებზე, რათა ამ უკანასკნელებმა გაამკაცრონ შესყიდვების პროცესის

წარმართვასთან დაკავშირებული რეგულაციები მასზე პასუხისმგებელი პირების უფლება-მოვალეობების ნათლად განსაზღვრითა და ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისათვის შესაბამისი რეაგირების მექანიზმების შემუშავებით;ცალკეულ შესყიდვის ობიექტებთან მიმართებაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განახორციელოს შესყიდვებთან დაკავშირებული გარკვეული პროცედურებისა და დოკუმენტაციის სტანდარტიზაცია; შემუშავდეს ჩარჩო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შემსყიდველი ორგანიზაციები დაასაბუთებენ შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობას.

➢ სახელმწიფო ქონების მართვა

სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ქონების ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა, კერძოდ, სწორად აღრიცხვა, მოვლა-შენახვა,პრივატიზების გამართული და გამჭვირვალე პროცესი, საჯარო ფინანსების ეფექტიანი და გამჭვირვალე მართვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. აღნიშნული მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა საბიუჯეტო ორგანიზაციების ბალანსზე

რიცხულიარაფინანსური აქტივების აღრიცხვის კუთხით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობით გამოვლენილი არსებითი ხარვეზები. კერძოდ:

- საბიუჯეტო უწყებებში არაფინანსური აქტივების დიდი ნაწილი აღრიცხულია საბაზრო ფასებთან მნიშვნელოვნად განსხვავებული თანხებით, რაც საჭიროებს მათი რეალური ღირებულებით გადაფასებას;
- ადგილიაქვსსახელმწიფოორგანიზაციებისსარგებლობაში არსებულიქონებისბალანსზეაღურიცხაობისშემთხვევებს;
- არისშემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის ქონების გადაცემისას, არ ხდება შესაბამისი ბუღალტრული გატარებები, რის გამოც აღნიშნული ქონება ხვდება როგორც ქონების მიმღების, ასევე გადამცემის ბალანსზეც, შესაბამისად ქონება ორმაგად არის აღრიცხული;
- არისშემთხვევები, როდესაც ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული და ექსპლუატაციაში მყოფი შენობა-ნაგებობები, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის;
- არაფინანსური აქტივების აღრიცხვის დროს დაშვებული შეცდომები გავლენას ახდენს მათ საბალანსო ღირებულებებზე. რიგ შემთხვევებში, როდესაც ცვეთის

დარიცხვა არ ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. აღნიშნული იწვევს საბიუჯეტო დაწესებულებების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში ქონების ნარჩენი ღირებულების არასწორად წარმოდგენას;

- ზოგიერთ მხარჯავ დაწესებულებაში აქტივებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაციები ან საერთოდ არ ტარდება, ან ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეებით მოქმედ საწარმოებთან დაკავშირებითაც. კერძოდ, საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებს სახელმწიფო საწარმოთა მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს შესაბამის პოლიტიკას. ასევე, არ არის შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და როლს სახელმწიფო საწარმოების მართვასთან მიმართებაში. მკაფიო ხედვისა და კრიტერიუმების არარსებობის გამო, ხდება ისეთი საწარმოების დაფუძნება, რომლებსაც სახელმწიფოსათვის არც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ და არც ბაზრის სტიმულირება შეუძლიათ. სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობამ გამოიწვია ისიც, რომ სახელმწიფო საწარმოთა მართვის პრაქტიკა არ არის უნიფიცირებული და ყველა სამინისტროს განსხვავებული მიდგომები აქვსაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რაც ხელის შემშლელი ფაქტორია მართვის სისტემის ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის უზრუნველყოფისათვის.

ზემოაღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, ერთი მხრივ, აუცილებელია შესაბამისი უწყებების მხრიდან დამატებითი ძალისხმევა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ქონების აღრიცხვის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფოს კუთვნილი აქტივების გამოყენების ეფექტიანობის ზრდას, ასევე სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ

ანგარიშგების სრულყოფას. მეორე მხრივ, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობითმოქმედი საწარმოების მართვაზე, მათ შორის ოფიციალურად შემუშავებული სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე, რომელშიც ნათლად იქნება განსაზღვრული სახელმწიფოს ხედვა და მიზნები სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში, აგრეთვე მისი როლი და აღნიშნული როლის განხორციელების გზები.ზემოაღნიშნული წარმოადგენს, საწარმოების მართვის ეფექტიანობისა და შესაბამისად, დივიდენდების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვან წინაპირობას.

➢ შიდა ფინანსური კონტროლი

საბიუჯეტო რესურსებისა და სახელმწიფო ქონების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს გამართული შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობა საჯარო სექტორში. გამართული შიდა კონტროლის მექანიზმის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისა თუ დარღვევების დროული გამოვლენა და ადეკვატური ღონისძიებების გატარება მათ აღმოსაფხვრელად. შიდა ფინანსურიკონტროლი მოიცავს **ფინანსურ მართვასა და კონტროლს**, რომლისდანერგვაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და იგი უზრუნველყოფს გონივრულ რწმუნებას, რომ ორგანიზაციის რესურსები ოპტიმალურად, ეფექტიანად და მართლზომიერად გამოიყენება; და **შიდა აუდიტს**, რომლის მიზანია შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის დამოუკიდებელი შეფასება და ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაციების წარდგენა მის გასაუმჯობესებლად.

შიდა ფინანსური კონტროლისმნიშვნელოვანი როლიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის

მიმდინარეობის ეფექტიანობის აუდიტი, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა იმ პრობლემების გამოვლენა, რომლებიც აფერხებს რეფორმის დროულ და სრულყოფილ განხორციელებას. აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა საქართველოს მთავრობის, ფინანსთა სამინისტროს, ჰარმონიზაციის ცენტრისა და სხვა სამინისტროების მიერ რეფორმის განხორციელების პროცესში გატარებული ღონისძიებები, რის საფუძველზეც გამოვლენილია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განხორციელების პროცესში არსებული მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები:

- ჰარმონიზაციის ცენტრი ვერ უზრუნველყოფს საკმარისი და განგრძობადი ტრენინგების ორგანიზებას შიდა აუდიტორთა პროფესიული უნარების გასავითარებლად;
- შიდა ფინანსური კონტროლის სტრუქტურა არ შეესაბამება ევროკომისიის მიერ რეკომენდებულ მოდელს;
- შიდა აუდიტის ანგარიშები არ შეესაბამება შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს;
- შიდა აუდიტორთა დამოუკიდებლობა არ არის უზრუნველყოფილი საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მექანიზმებით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკომისიის წინაშე სახელმწიფოს აღებული აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებებიშიდა ფინანსური კონტროლის კუთხით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გაძლიერება საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ერთ-ერთმთავარ კომპონენტს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობით გამოვლენილი სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები მიუთითებს, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესისა, საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა დაძლევა მოითხოვს საჯარო სექტორის ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას. შესაბამისად,საბიუჯეტო სისტემასაჭიროებს კარგად ჩამოყალიბებული, გამართული და ზემოაღნიშნულ პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებასადა რელევანტური ღონისძიებების იმპლემენტაციას, რათა სისტემამ უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრებისა და სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ქონების ეფექტიანიდა პროდუქტიული მართვა და გამოყენება. **ამავდროულად, ზემოაღნიშნული გამოწვევები ზრდის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, როგორც ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს როლს მიმდინარე რეფორმის პროცესში, რომლის მიერ აუდიტორული საქმიანობის შედეგად გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება წარმოადგენს საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო ქონების მართვის ეფექტიანობის მუდმივი ზრდისა და რეფორმის პროცესის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.**

გამოყენებული ლიტერატურა

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პუბლიკაცია „ასიგნებების გადატანის უფლებამოსილება შემდგომი ფისკალური წლისათვის (Carry-Over მექანიზმი)“;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო ,,შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება’’;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის ღონისძიებათა’’ ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული ,,შესყიდვების მართვის ეფექტიანობის’’ აუდიტის ანგარიში.

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

ლაშა თორდია

დაიბადა 1980 წლის 1 აგვისტოს.

განათლება:

1997-2004 წწ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი, კვალიფიკაცია - ბიზნეს-სამართალმცოდნე.

სამუშაო გამოცდილება:

2001-2002 წწ.

სააქციო საზოგადოება ,,თბილავიამშენის" იურისტი.

2002-2004 წწ.

საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი.

2004-2008 წწ.

მიწისმესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია -სამართ-ლებრივი ანალიტიკოსი.

2007-2008 წწ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურისტი.

2008-2009 წწ.

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2008-2012 წწ.

საქართველოს პარლამეტის წევრი.

2009-2010 წწ.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2010-2012 წწ.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე.

2012 წლის 25 ივლისიდან

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი



ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოჩების ოჯოს, ვახტანგ ბოჩიასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავალერი, ბენეარი-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობილიზებით, მან, აქვე დაისვა დისერტაციის მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა, ჯერ, ახალგაზრდული ჰორიზონტების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და ჰორიზონტირების სამეცნიერო ცენტრები. მისი პატრონობით, სახელმწიფო - მართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი“, რომელმაც, მთლიანად მესვალა ქვეყნის ერბიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული ჰარაქტერი.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სწორერების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გამეფდა „ახალგაზრდული ქალაქი“ დაფუძნდა ახალგაზრდა პოლიტიკოსთა თანამედროვე სასწავლებლები, სხვა სამეცნიერო და ჯელტარული ინფრასტრუქტურა, რომლის მსგავსი, მაშინ, მთელ ჰოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სწორერებაში ბანახორციელა დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა „მზიერის“ მშენებლობას, ხოლო, მობილიზებით, ერთვალად მოზარდებს „აჩქარ“ უნიკალური საბავშო ჩერნობზა, რომლის გამეფება, მისი ტოტალური დევნის პირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „წითელ ხიდზე“ და „ერეში“, ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „ჯერი მმართველობის“ მესანიმნავი მაგალითია, ხოლო გაიდასვალება - სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟასის გმირული ნაბიჯი. მისი მოწამეობრივი სწორერება, ღირსეულად შეფასა მისმა უნმინდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც გაანსხვა, რომ მან - „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ერთელეს ფრონტი, ისწორერ ისე - თითქოს მთელ ტვირთს ღებულობდა საკუთარ თავზე“.